ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N6

სხდომის ჩატარების დრო:

27 აპრილი , 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული.

სულ: 35 წევრიდან 19 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 16 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ბატონი დ.ერემეიშვილი და ბატონი ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის პროექტების კოორდინატორი, ბატონი ნ.ჯიქია, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** და მის მიერ, საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, გაკეთდა **განცხადება:** „მოგესალმებით დამსწრე საზოგადოებას, მედიის წარმომადგენლებს. მივესალმები ბატონ დავით ერემეიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ არ განვიხილავთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ საკითხებს, თქვენი დასწრება მნიშვნელოვანია და მადლობა ამისათვის. მინდა, რამდენიმე საკითხს გავუსვა ხაზი. ჩვენ, რამდენჯერმე

გვქონდა გადაწყვეტილება მიღებული, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული ხარჯების მიმართულებით ჩვენს შეხედულებებს და ეს შეხედულებები ეხებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის კონკრეტულ მუხლებს, მათ შორის, საკრებულოს ბიუჯეტში ასახულ ასიგნებებს. ჩვენ არაერთხელ გვქონდა მცდელობა საკითხი დაგვესვა სატრანსპორტო საშუალებების მიმართულებით. მე მინდა, კიდევ ერთხელ გავაჟღერო ის მიმართულება, რომელიც საკრებულოს აქვს. ეს ეხება უშუალოდ ავტოპარკს. საკრებულოს ავტოპარკი წლების განმავლობაში შედგება რამდენიმე ავტომობილისაგან, რომელიც არის ძალიან ძველი. მათი მომსახურება, მათ მომსახურებაზე გაწეული რესურსის მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ მეც და სხვებიც თავს ვიკავებთ ადმინისტრაციული დანახარჯებისაგან, ძვირია. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ეს ავტოპარკი, რომელიც მოძველებულია და რეალურად მისი შენახვა ჯდება ძალიან ძვირი, კანონის შესაბამისად, მოხდეს აღნიშნული ავტოპარკის ჩამოწერა შესაბამისი პროცედურების დაცვით და აუქციონზე გასხვისება. ეს აგვარიდებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ ეფექტურობას გაუსვამს ხაზს. საკრებულოს აპარატს მინდა ვთხოვო, რომ დავიწყოთ აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი მოქმედება. გთხოვთ, უმოკლეს ვადაში ამ მიმართულებით გვქონდეს აქცენტი. აპარატმა დაიწყო მუშაობა ადგილობრივი ბიუჯეტით საკრებულოსათვის გათვალისწინებულ სოციალურ მუხლთან დაკავშირებით. მე ამის თაობაზე არაერთხელ გავაკეთე განცხადება, ამ მუხლიდან გაცემული ფისკალური რესურსების ეფექტურ მართვაზე. ამ მიმართულებით შემუშავდა ბრძანება, რომელსაც დამატებით გაეცნობიან იურისტები. ეს ბრძანება შევა ძალაში უმოკლეს დროში, რომელიც ხაზს უსვამს იმ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც საჯარო სექტორს, როგორც დამსაქმებელს, გააჩნია საკუთარი თანამშრომლების მიმართ. ეს პასუხიმგებლობა ვრცელდება უკლებლივ ყველაზე, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებზე. ნებისმიერ საჯარო მოხელეს, რომელსაც გაუჩნდება სოციალური საჭიროება, მას უნდა ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მიმართოს ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს. ასევე კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, რომ შესაბამის დარგობრივ კომისიებს, უკვე გაცნობილი გაქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში. გთხოვთ, კანონისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილის შესაბამისად, მოხდეს ამ ანგარიშის საჯარო განხილვა. ამ პროცესში ჩაერთოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი. ყველა იმ რეკომენდაციაზე, რომელიც ამ დასკვნაში არის წარმოდგენილი, ჩვენგან იყოს უმკაცრესი რეაგირება. ამ მიმართულებით გთხოვთ საკრებულოს კომისიებს, ფრაქციას, იმუშაოთ. ეს პროცესი ეხება ოპოზიციასაც. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. მე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ჩვენ, ნებისმიერ საკითხზე ვართ ღია, დისკუსიისა და პასუხებისათვის. ჩვენ არ ვერიდებით არასამთავრობო სექტორის, კრიტიკული მედიის მხრიდან დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას. პირიქით, ჩვენ ამისათვის მზად ვართ. ცუდია, რომ დღეს ოპოზიცია არ გვესწრება, მეორე სხდომაა ვერ ვხედავ საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც არ არიან საკრებულოს ფრაქციის წევრები. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სამწუხაროა, რომ ისინი მონაწილეობას არ იღებენ საკრებულოს სხდომებში. ამით ჩანს მათი დამოკიდებულება საზოგადოებისა და ამომრჩევლის მიმართ. მინდა ვთხოვო ყველა დეპუტატს, რომ პატივი სცენ საკრებულოს, როგორც ინსტიტუციას და მონაწილეობა მიიღონ სხდომებში. აქვე მინდა მოგილოცოთ აღდგომის დღესასწაული. თითოეულ ჩვენს მოქალაქეს მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, წინსვლა და ბედნიერი ცხოვრება.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგის პროექტის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პროექტის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ. ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N71** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე - 2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა განმარტება** გააკეთა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „ჩვენ, საკრებულოს ბიუროს მე-8 სხდომაზე ვიმსჯელეთ განკარგულების პროექტის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თაობაზე. კერძოდ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია აღნიშნულ პუნქტში არსებულმა ფრაზამ: „საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის დანიშვნა.“ ბიუროს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ტერმინი: „დანიშვნა“, ჩანაცვლებულიყო სიტყვებით: „წევრად შეყვანა“ და მიღებულ იქნა რეკომენდაცია საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ხსენებული პუნქტის ცვლილება განხილულიყო საკრებულოს მიმდინარე სხდომაზე და საჭიროების შემთხვევაში, მიღებულიყო შესაბამისი გადაწყვეტილება აღნიშნულის შესახებ. განვმარტავ, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომის შემდეგ, იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ, კიდევ ერთხელ გადაიხედა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისი მუხლი

და დაზუსტდა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის 2² პუნქტში ზუსტად არის მითითებული, სიტყვა: „დანიშვნა“. ანუ, განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბებულია საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის 2² პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, განკარგულების პროექტის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი უნდა დარჩეს იმ ფორმით, როგორც წარმოდგენილია განკარგულების პროექტში.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** ზემოაღნიშნულ საკითხზე წარმოადგინა **განკარგულების** პროექტი, ცვლილების გარეშე.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა და ამ კომისიის თავმჯდომარის, თ.ჯუღელის განმარტება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის 2² პუნქტის საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი დარჩეს უცვლელი სახით (2. ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ შემოწმებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის წარდგენის სისწორე და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის დანიშვნა.).

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N72** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა განმარტება** გააკეთა ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე: „აღნიშნული განკარგულების პროექტთან

დაკავშირებითაც იგივე მდგომარეობაა, რაც მეორე საკითხის შემთხვევაში. ამიტომ, თავიდან აღარ გავიმეორებ. გამომდინარე აქედან, წინადადებით შემოვდივარ, საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის მე-3 საკითხზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი მიღებულ იქნეს ცვლილების გარეშე, ისე როგორც განკარგულების პროექტშია."

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის მე-3 საკითხზე წარმოადგინა **განკარგულების** პროექტი, ცვლილების გარეშე.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ჯემალ, წარმატებებს გისურვებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა და ამ კომისიის თავმჯდომარის, თ.ჯუღელის განმარტება და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28-ე მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო

მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი დარჩეს უცვლელი სახით (2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ შემოწმებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის წარდგენის სისწორე და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ჯემალ ბიბილეიშვილის დანიშვნა.).

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გარეშე.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N73** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს წევრთა მიერ, გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი): „მოგესალმებით კოლეგებო. გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მინდა, მოგაწვდინოთ დაახლოებით ჩვენი 2000 ამომრჩევლის ხმა. ეს ეხება აღმაშენებლის N125, N127, N141, N143 კორპუსებს შორის არსებულ

მონაკვეთს. მაყუჩ ამოღებული მოტოციკლებისა და ავტომობილების შეჯიბრი და „დრიფტი“ საშუალებას არ აძლევს მოსახლეობას მშვიდად დაიძინოს. ამ საკითხზე, ჩვენ როგორც ხალხის მიერ არჩეულმა წევრებმა, მინდა ხმა მივაწვდინოთ შესაბამის უწყებებს, ჩავერთოთ, რომ იქ საპატრულო ეკიპაჟების გააქტიურება მოხდეს, რომ მიეცეს ადამიანებს საშუალება მშვიდად დაიძინონ ღამის საათებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „მოგესალმებით მეგობრებო. გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ეს პრობლემა მხოლოდ აღმაშენებლის გამზირს არ ეხება, ეს პრობლემა მთელ ქალაქს ეხება და კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით რაღაცას გავაკეთებთ. მით უფრო, რომ მე-5 მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული იყო კანონი ხმაურის შესახებ, ღამის 12 საათის შემდეგ. ძალიან ბევრი ადგილი, სადაც სწორი გზაა და შესაბამისად ბევრი შემთხვევაა სავალალო შედეგებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შემიძლია განმარტება გავაკეთო. ქალაქის მასშტაბით, 70-მდე ვიდეო თვალის განთავსება მოხდება სხვადასხვა ადგილებზე. მათ შორის, იქ, სადაც აქტიურია ასეთი ტიპის მოძრაობები. მე ვფიქრობ, საპატრულო პოლიცია ადმინისტრირებას ამ მიმართულებით გააქტიურებს. ეს საშუალებას მოგვცემს ელექტრონულად მოხდეს კანონდარღვევის დაფიქსირება. რაც შეეხება კანონს ხმაურთან დაკავშირებით, ჩვენ საკრებულოს სხდომაზეც მივიღეთ ეს დადგენილება, ვინაიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შევიდა ეს საკითხი. როდესაც პარლამენტმა მიიღო ეს საკითხი, ადგილობრივ თვითმმართველობებს დაევალა აღნიშნული პროცესის ადმინისტრირება. უშუალოდ ამაზე პასუხისმგებელი ორგანო გახლავთ ზედამხედველობის სამსახური. თუ კონკრეტული შენიშვნები და საჩივრები იქნება, ამაზე უნდა მოახდინოს ზედამხედველობის სამსახურმა რეაგირება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ზედამხედველობის სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ერთობლივი საქმიანობით. ჩვენი მხრიდან, თუ კოლექტიური განცხადება გვექნება, ამასაც ექნება შესაბამისი მსვლელობა. ეს ტერიტორია ჩემი სამაჟორიტარო უბანი გახლავთ და ჩვენ არაერთხელ გვქონია ამ თემაზე საუბარი მოქალაქეებთან და კიდევ

ერთხელ შეგახსენებთ, რომ ადმინისტრირების საკითხი ხმაურთან დაკავშირებთ ეხება ზედამხედველობის სამსახურს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი**: „ეს საჭირბოროტო საკითხია. მეცნიერები მუშაობდნენ იმ მიმართულებით, რომ ძრავის ხმა ჩაეხშოთ ავტომობილებისათვის, თუმცა პირიქით ხდება. არანაკლები მტკივნეულია „გზაგამტარი“ ხიდის მიმდებარე ტერიტორია. კვირა არ გავა, რამდენიმე ავარია რომ არ მოხდეს. მე ვესაუბრე ქალაქის საპატრულო ხელმძღვანელობას, ეს ძალიან რთული კვანძია. ვესაუბრე მათ თუ როგორ უნდა გახდეს ეს კვანძი უსაფრთხო. იქნებ დავაყენოთ ეს საკითხი დღის წესრიგში, რომ ავიცილოთ უბედური შემთხვევები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დიდი მადლობა ინიციატივისათვის, ეს საკითხი უშუალოდ ეხება აღმასრულებელ რგოლს. ჩემი თხოვნა იქნება ბატონო დავით, იქნებ განიხილოთ ეს საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „მოგესალმებით. გილოცავთ, აღდგომის დღესასწაულს. ვგეგმავთ. ქალაქის რამდენიმე ლოკაციაზე განთავსდეს ვიდეოთვალი. რაც შეეხება „გზაგამტარ“ ხიდს, შემოსულია პროექტი. ჭავჭავაძის გამზირზე საერთოდ იცვლება მოძრაობა. ახალგაზრდობის გამზირზე განთავსდება ახალი ჭკვიანი კამერები. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ თვითონ დაითვალოს კამერამ, როდის გახსნას მწვანე შუქი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი ინფრასტრუქტურის თანამშრომლები მუშაობენ „გზაგამტარ“ ხიდთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-6 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:56:41 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.